საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/2362
05/04/2023

2362-21-2-202304051616

სს „ბუქსი ჰესს“
ელ ფოსტა: igaprindashvili@glcc.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №1418 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბუქსიეთში ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადებას.

როგორც თქვენთვის ცნობილია, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 6 აგვისტოს №4/36-21 დადგენილების შესაბამისად, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის აჭარისა და გურიის რეგიონული სამმართველოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ არსებული სს „ბუქსი ჰესის“ კუთვნილი ჰესის შესწავლა-დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ კომპანია ახორციელებს 2 მგვტ სიმძლავრის ჰესის ექსპლუატაციას, რომელზეც მოწყობილია კაშხალი. ამასთან, სასამართლოს დადგენილების თანახმად, კომპანიას ჰესის ტერიტორიაზე ასევე გააჩნია ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა. საქმეზე გამოკვლეული მტკიცებულებების საფუძველზე, სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია სს „ბუქსი ჰესის“ მიერ **„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართით (მე-3 პუნქტის 3.8 ქვეპუნქტი, მე-9 პუნქტის 9.9 ქვეპუნქტი და მე-10 პუნქტის 10.6 ქვეპუნქტი)** გათვალისწინებული სკრინინგის პროცედურას დაქვემდებარებული საქმიანობების სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე განხორციელების ფაქტი. შესაბამისად, სკრინინგის განცხადების საფუძვლად უნდა მიეთითოს აღნიშნული პუნქტები და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად განხილული იქნას თითოეული პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის შედეგად გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების შესაბამისად შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო